პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 11 დეკემბერი № 284 (17926) ფასი 2 კაპ.

მეგობრული ვიზიტით

ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. განდის საუბარი

დელი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის საუბარი.

მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე. განიხილეს აგრეთვე სსრ კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობის განვითარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დოკუმენტების ხელმოწერა

დელი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ინდოეთის დედაქალაქის პრეზიდენტის სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დოკუმენტებს.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივ დეკლარაციას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. განდიმ შემდეგ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ხელმოწერილ იქნა აგრეთვე: 1981-1985 წლების საგაჭრო შეთანხმება. მას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ვ. არხიპოვმა და ინდოეთის ვაჭრობის მინისტრმა პ. კ. მუქერჯიმ;

კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში გაცვლის 1981-1982 წლების პროგრამა. მას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. პ. ფირიუბინმა და ინდოეთის ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრის მოადგილემ მირ ნასირულამ;

შეთანხმება კინემატოგრაფიის დარგში თანამშრომლობის შესახებ. მას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის სახკინოს თავმჯდომარემ ფ. ტ. ერმაშმა და ინდოეთის ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრმა ვ. პ. სათჰემ.

დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშრომელი ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. მ. ვორონცოვი, ინდოეთის მთავრობის წევრები, პარლამენტის დეპუტატები, ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი, ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ვ. კ. აჰუჯა, საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის სხვა ოფიციალური პირნი.



სურათზე: დელი. საბოლოო დოკუმენტების ხელმოწერა.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირ-ინდოეთი: მუშვიდობის მძლავრი ფაქტორი

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი დელში

დელი, 9 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციული მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორობისა და ურთიერთგაგების პრინციპები, ოდითგანვე აკავშირებს ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს. ორი ქვეყნის ურთიერთგაგების შემდგომი გაღრმავების დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი, რომელიც დღეს მეცნიერების სასახლეში გაიმართა.

აქ, ინდოეთის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში, საპატიო საბჭოთა სტუმართან შესახვედრად შეიკრიბნენ პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები, პარლამენტარები, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების აქტივისტები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, მასობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციათა, პროფკავშირთა, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სხვა საბჭოთა ოფიციალური პირნი. აქვე არიან ინდოეთის მთავრობის წევრები.

დარბაზში აყენერდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მიტინგი გახსნა ქალაქ დელის გუბერნატორმა ჯაგ მოპანმა. მან წაიკითხა ინდოეთის დედაქალაქის მცხოვრებთა მისასალმებელი მიმართვა ლ. ი. ბრეჟნევისადმი და დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცა იგი საპატიო საბჭოთა სტუმარს.

„ჩვენ განვიცდით უაღრესად გულთბილ სიმპათიასა და უდიდეს მოწიწებას თქვენდამი და ღრმა სიყვარულს თქვენი დიადი ქვეყნისადმი, — ნათქვამია მიმართვაში. — მოგესალმებით არა მარტო როგორც ერთგულ მეგობარს, რომელიც უცხო კაცი არ არის ამ ქვეყნისათვის, არამედ როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს, სახელმწიფოსი, რომელთანაც ინდოეთს დამყარებული აქვს მჯიდრო მეგობრობის ტრადიცია, და მოგესალმებით როგორც მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც უაღრესი მნიშვნელობის წვლილი შეიტანა საყოველთაო მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების განმტკიცებაში.

ჩვენი ქალაქი სიმბოლურად გამოხატავს ჩვენი ძველი მიწაწყლის ისტორიასა და ტრადიციებს. იგი ახალი ინდოეთის სულისკვეთებას წარმოადგენს. სწორედ ამ ქალაქში ჩვენმა ძვირფასმა ბელადმა ჯავაჰარლალ ნერუმ გამოაცხადა დამოუკიდებელი ინდოეთის გარიჟრაჟი. ამ დიდი მოაზროვნის ხსოვნის ღირსეული დაფასება იქნება მოგონება იმისა, რომ მან ასევე საფუძველი ჩაუყარა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, რომელიც განვლილი წლების მანძილზე განმტკიცდა.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, — ასაზრდოებს ერთმანეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა და საშინაო საქმეებში ჩაუერევლობა. ჩვენი ორი ქვეყანა მუდამ იღვწის მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ხალხთა უფართოესი თანამშრომლობისათვის. ჩვენი მეგობრობა მიმართული არ არის რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ და მართლაც შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობის ნიმუში.

გისურვებთ წარმატებას მოლაპარაკებაში ჩვენს ხელმძღვანელებთან. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ორი ქვეყნისა და ხალხის მეგობრობას“.

სიტყვა ეძღვნა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს. მიტინგის მონაწილენი მას ოვაციით ხვდებიან.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატივცემულო ქალბატონო პრემიერ-მინისტრო!

პატივცემულო ბატონო გუბერნატორო!

ძვირფასო მეგობრებო!

ეს შეხვედრა თვით დიად, ნიჭიერ და მშვიდობისმოყვარე ინდოელ ხალხთან შეხვედრად მიგვაჩნია. (ტაში).

გვადლობთ, ბატონო გუბერნატორო, ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა ხალხისადმი პატივისცემის გულთბილი სიტყვების გამო. ჩემი მხრივ საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, პატივცემულო დელელებო, და თქვენი სახით — მთელ სახელოვან ინდოელ ხალხს, სულით და გულით გისურვებთ კეთილდღეობას და აყვავებას! (ხანგრძლივი ტაში).

თქვენი ქალაქი მარტოდენ შეესანიშნავი ინდოეთის განსახიერება როდია. დელი ერთი იმ საერთაშორისო ცენტრთაგანია, რომელიც ნიადაგ უპერდა და კვლავაც უჭერს მხარს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეს, სადაც მჩაგვრელური იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტად იშვა მიუმხრობლობის მოძრაობა. (ტაში).

ინდოეთში პირველად როდი ჩამოვედი. მაგრამ ყოველი ახალი ვიზიტი ავსებს და ამდიდრებს ჩემს შთაბეჭდილებებს თქვენს ქვეყანაზე. ყოველ ჩამოსვლაზე თითქოს ახლებურად ვგრძნობ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის გაძლებას. ეს თანამშრომლობა კი დღეს მოიცავს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების პრაქტიკულად ყველა უმნიშვნელოვანეს სფეროს — ეკონომიკურს, მეცნიერულ-ტექნიკურსა და კულტურულს.

ორივე ქვეყნისათვის სულ უფრო დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ეკონომიკური თანამშრომლობა. მისი გზის შესამჩნევი ნიშან-სვეტებია საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით აგებული ინდოეთის სამრეწველო გიგანტები, რომლებსაც „ჯავაჰარლალ ნერუს „ახალი ტაძრები“ უწოდა, — ჩვენი მეგობრობის პირმშოთი, ბჰილაის მეტალურგიული ქარხნით დაწყებული და ბოკაროს გოლიათი კომბინატით დამთავრებული. დღეს კი ქვეყნის სამხრეთში მათი ახალი მძლავრი თანამოძმე იბადება. (ტაში).

ჩვენს მიერ ერთობლივად შექმნილი საწარმოები დღეს ინდოელ ხალხს აძლევენ ლითონს, მანქანებს, ელექტროენერგიას, ქვანახშირს. ისინი არცთუ ცუდად ემსახურებიან თავიანთ პატრონს — ინდოელ ხალხს და ეს გულწრფელად ახარებს საბჭოთა ადამიანებს!

სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ თქვენში ნაყოფიერად მუშაობენ საბჭოთა გეოლოგები, რომ კარგად ვითარდება თანამშრომლობა კვების, ცელულოზა-ქაღალდის, მსუბუქ, მედიცინის მრეწველობასა და სხვა დარგებში. ისიც მითხრეს, რომ კალკუტაში ჩვენი მონაწილეობით კარგად მიმდინარეობს ინდოეთის პირველი მეტროპოლიტენის მშენებლობა. მოსკოვის გამოცდილებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ასეთი დიდი ქალაქისათვის მეტრო ყველაზე მოსახერხებელი და საჭირო ტრანსპორტია. (ტაში).

ტემპს იკრებს ჩვენი თანამშრომლობაც სოფლის მეურნეობის დარგში, იზრდება ვაჭრობა, ფართოვდება ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო გაცვლა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

როცა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინი თავისი ფრენის შემდეგ ცოტა ხანში ეწვია ინდოეთს, მან თქვა, მოხარული ვიქნები, კოსმოსში ინდოელ კოსმონავტთან ერთად რომ გავფრინდეო. ახლა კი ჩვენი ქვეყნები ემზადებიან იმისათვის, რომ ახლაც გაგარინის ოცნება. დადგება დღე, როცა ინდოეთისა და სსრ კავშირის კოსმონავტები ერთად იფრენენ და ჩვენი ქვეყნების ხალხები მათ მხურვალედ მიესალმებიან! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენი ურთიერთობის ძალზე დიდმნიშვნელოვან დარგად მიგვაჩნია ინდოეთის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა. არც აქ უნდა იყოს ურიგოდ საქმე. (ტაში). ჩვენ არავის არ ვუმალავთ, რომ გვინდა მეგობარ მშვიდობისმოყვარე ინდოეთს ვხედავდეთ ძლიერს, რომელსაც ძალუძს წარმატებით დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, განამტკიცოს აზიის მშვიდობის საქმე. (ხანგრძლივი ტაში).

(დასასრული მე-2 გვ.).

მეგობრული შეხვედრა

10 დეკემბერს ლ. ი. ბრეჟნევმა თავის დელის რეზიდენციაში მიიღო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების ხელმძღვანელები და აქტივისტები.

საზოგადოების ხელმძღვანელმა — ინდოეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ვ. რ. კრიშნა აიერმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა შეხვედრის მონაწილენი: საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი ნურულ ჰასანი, საზოგადოების გენერალური მდივანი ლიტო გჰოში, საზოგადოების გენერალური მდივანი ს. ნარაიანანი, პარლამენტის დეპუტატი, საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი შანკარ დაიალ შარმა, პარლამენტის დეპუტატი, საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, მარგარეტ ალვა, საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, პარლამენტის დეპუტატი ჩანდრაჯიტ იადავი და საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი პრემ საგარ გუფთა.

ვ. რ. კრიშნა აიერი გულთბილად და გულითადად მიესალმა ლეონიდ ილიას ძეს და გამოთქვა დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ საპატიო საბჭოთა სტუმრის ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტს ინდოეთში უკვე ახლა შეიძლება ეწოდოს ისტორიული ნიშანსვეტი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების გზაზე. საზოგადოების მილიონობით წევრის სახელით კრიშნა აიერმა ლ. ი. ბრეჟნევს უსურვა დიდი წარმატებანი ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა მადლობა გადაიხადა გულითადი მისალმებისათვის, აღნიშნა დიდი წვლილი, რომელიც თავისი პრაქტიკული მუშაობით შეაქვთ საზოგადოების წევრებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მრავალფეროვანი ურთიერთობის ყოველმხრივ გაფართოებაში, ხელს უწყობენ ჩვენი ორი ხალხის დაახლოებას. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები აღსავსენი არიან სურვილით განამტკიცონ მეგობრობა ინდოეთთან, ისინი დიდად აფასებენ ინდოეთისა და მისი ხელმძღვანელების წვლილს აზიასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების საქმეში, მიუმხრობლობის მოძრაობის განმტკიცების საქმეში. ლ. ი. ბრეჟნევმა საზოგადოების გამგეობის წევრებსა და აქტივისტებს დიდი წარმატებანი უსურვა თავიანთ კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი. (საკდესი).

საქდესის ცნობა

ფრენის პროგრამა წარმატებით შესრულდა

„სოიუზ ტ-3“ სატრანსპორტო ხომალდის ეკიპაჟი დედამიწაზე დაბრუნდა

1980 წლის 10 დეკემბერს 12 საათსა და 26 წუთზე მოსკოვის დროით ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ კოსმონავტები ლეონიდ კიზიმი, ოლეგ მაკაროვი და გენადი სტრეკალოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

გათვალისწინებულ დროს „სოიუზ ტ-3“ სატრანსპორტო ხომალდი გამოეყო „სალუტ-6“ ორბიტულ სადგურს და დამუხრუჭებისა და ატმოსფეროში მართული დაშვების შემდეგ რბილად დაჯდა დედამიწაზე.

„სოიუზ ტ-3“ სატრანსპორტო ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა გათვალისწინებულ რაიონში 130 კილომეტრზე ქალაქ ჯეზყაზგანის აღმოსავლეთით. კოსმონავტები კიზიმი, მაკაროვი და სტრეკალოვი თავს კარგად გრძნობენ.

13 დღე-ღამის ფრენის დროს მოეწყო „სოიუზ ტ-3“ გაუმჯობესებული სატრანსპორტო ხომალდის საბორტო სისტემებისა და კონსტრუქციის ელემენტების გამოცდა ავტონომიური ფრენის სხვადასხვა რეჟიმით და ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში. ეკიპაჟმა შეამოწმა აგრეთვე „სალუტ-6“ სადგურის საბორტო სისტემების მდგომარეობა და კოსმოსური ფრენის პირობებში შეასრულა მთელი რიგი რთული სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები.

თერმორეგულირების სისტემის შიდა კონტურში ეკიპაჟმა დაამონტაჟა ოთხტუმბოიანი ახალი ჰიდრობლოკი, შეცვალა ელექტრონული ბლოკი ტელემეტრიული გაზომვების სისტემაში და საპროგრამო-დროებრივი მოწყობილობა საბორტო კომპლექსის მართვის სისტემაში. კომპრესორების ელექტროკვების ახალი გარდამქმნელი მოთავსებულია სადგურის გაერთიანებული ძრავის სათბობით კმაგაწყობის სისტემაში.

სარემონტო-აღდგენით ღონისძიებათა შესრულების დროს კოსმონავტებს კავშირის სეანსებში ეხმარებოდნენ სპეციალისტები და მეოთხე ხანგრძლივი ექსპედიციის ეკიპაჟის წევრები ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი. უწონობაში მუშაობისათვის სპეციალურად შემუშავებული ინსტრუმენტების და მეთოდიკების გამოყენების მეოხებით ყველა გათვალისწინებული ოპერაციები ეკიპაჟმა შეასრულა სრული მოცულობითა და მაღალხარისხოვნად.

საკონტროლო გამოცდამ და შემოწმებამ ცხადყო, რომ კოსმონავტების კიზიმის, მაკაროვისა და სტრეკალოვის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შემდეგ საბორტო სისტემები უზრუნველყოფს „სალუტ-6“ სადგურის შემდგომ აქტიურ მუშაობას ორბიტაზე.

ფრენის დროს ეკიპაჟმა განახორციელა აგრეთვე კოსმოსური მასალათმცოდნეობის ექსპერიმენტები, სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ტექნიკური ექსპერიმენტები.

სამკაციანი ეკიპაჟის მიერ მართული „სოიუზ ტ“ სერიის გაუმჯობესებული სატრანსპორტო ხომალდის გამოცდის წარმატებით დამთავრებული მორიგი ეტაპი და „სალუტ-6“ სადგურში კოსმონავტების მიერ შესრულებული სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოთა კომპლექსი ახალ პერსპექტივებს სახავს მომსახურებადი ხანგრძლივი ორბიტული კომპლექსების განვითარებასა და მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში.

საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი მიღწევა ღირსეული ნობათია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი.

სურათზე: მარცხნიდან — კოსმონავტები ო. მაკაროვი, ლ. კიზიმი და გ. სტრეკალოვი დედამიწაზე დაშვების შემდეგ.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

კოსმონავტი მფრინავის ამხ. ლ. დ. კიზიმისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კოსმოსში „სოიუზ ტ-3“ გაუმჯობესებული სატრანსპორტო ხომალდის გამოცდის წარმატებით მოწყობისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობის და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** medali კოსმონავტ მფრინავს ამხ. ლეონიდ დენისის ძე **კიზიმს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 10 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ო. გ. მაკაროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კოსმოსში „სოიუზ ტ-3“ გაუმჯობესებული სატრანსპორტო ხომალდის გამოცდის წარმატებით მოწყობისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობის და გმირობისათვის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ოლეგ გრიგოლის ძე **მაკაროვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 10 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

კოსმონავტი მფრინავის ამხ. გ. მ. სტრეკალოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კოსმოსში „სოიუზ ტ-3“ გაუმჯობესებული სატრანსპორტო ხომალდის გამოცდის წარმატებით მოწყობისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** medali კოსმონავტ მფრინავს ამხ. გენადი მიხეილის ძე **სტრეკალოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 10 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ლ. დ. კიზიმისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

„სოიუზ ტ-3“ გაუმჯობესებული სატრანსპორტო ხომალდით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“** წოდება ამხ. ლეონიდ დენისის ძე **კიზიმს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 10 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. გ. მ. სტრეკალოვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

„სოიუზ ტ-3“ გაუმჯობესებული სატრანსპორტო ხომალდით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“** წოდება ამხ. გენადი მიხეილის ძე **სტრეკალოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 10 დეკემბერი.

აკაკი წერეთლის დაბადების 140-ე ფლისთავისათვის

საქართველოს-მხარე ზეიმობს

დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის 140-ე წლისთავის ხაზეიმოდ უპირველესად ხაჩხერე მოემზადა. აქ, 13 დეკემბერს პოეტის სამშობლოს სათაყვანოდ ჩასული უამრავი სტუმარი მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილ პოეტურ ზეიმში, გვირგვინებით შეამკობს აკაკი წერეთლის ძეგლს, გაიმართება შეხვედრა ხაჩხერის რაიონის მშრომელებთან.

14 დეკემბერს კი ზეიმი ხოფელ სხვიტორში გადაინაცვლებს, რომლის მონაწილენი დაათვალიერებენ პოეტის სახლ-მუზეუმს. აქვე გაიმართება სახალხო ზეიმი „წერეთლობა“.

საიუბილეო ზეიმის დასკვნითი დღეს, 15 დეკემბერს თბილისში სტუმარ-მასპინძლები დაათვალიერებენ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონს, შემდეგ გვირგვინებით შეამკობენ შოთა რუსთაველისა და აკაკი წერეთლის ძეგლებს, უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესია, ხოლო იმავე დღეს იუბილეს დაგვირგვინებს აკაკი წერეთლის დაბადების 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელიც ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიწყება 18 საათზე.

სსრ კავშირ-ინდოეთი: მშვიდობის მძლავრი ფაქტორი

(დასასრული)

ანდა, კულტურის დარგში თანამშრომლობა. რა უსაზღვროდ ბევრი რამ შეუძლიათ შეიძინონ ერთურთისაგან ორი დიადი მსოფლიო კულტურის ხალხებმა, რომლებმაც შვეს ბუმბერაზი მოაზროვნეები, მხატვრული და მეცნიერული შემოქმედების გენიოსები! სწორედ ამტომ, გულწრფელად ვხარობთ, რომ წლითიწლობით ფართოვდება ჩვენი ურთიერთობა კულტურის, განათლების, კადრების მომზადების, ტურიზმის დარგში. **(ტაში).**

ყოველივე ‘ეს აახლოებს ჩვენს ხალხებს, ხელს უწყობს მათს ურთიერთგაგებას. გვეხმარება კიდევ უფრო გავამდიდროთ მათი ცხოვრება. მაშ მოდით, კვლავაც თამამად ვიაროთ ამ გზით. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო მეგობრებო! საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის შენობა ემყარება მკვიდრ საძირკველს — მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მალე უკვე ათი წელი გახდება, რაც იგი კარგად ემსახურება ჩვენს ხალხებს. როგორც მძლავრი ბერმუხა იმოსება ხოლმე მწვანე ყლორტებით, ისე ეს ხელშეკრულებაც იბარტყებს ახალ-ახალი შეთანხმებებით ურთიერთობის, გაცვლის, თანამოქმედების შესახებ. იგი გვეხმარება ვითანამშრომლოთ ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და სამართლიანი ურთიერთობისათვის ბრძოლის საქმეში. **(ტაში).**

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განვითარება და შემდგომი გაღრმავება და, კერძოდ, ჩვენი უმაღლესი დონის ახლანდელი შეხვედრაც, არ არის მიმართული რომელიმე მესამე ქვეყნების წინააღმდეგ.

მტკიცედ შემიძლია ვთქვა: როცა დღეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრულ ურთიერთობას ვავითარებთ, ჩვენ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთ არა მარტო ჩვენი ხალხების ახლანდელი თაობისათვის, არამედ მომავალი თაობებისათვის, კაცობრიობის მშვიდობიანი მერმისისათვის.

ინდოეთთან დამოყვრება ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებელმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა გვიანდერძა. საბოც წელზე მეტი ხნის წინათ განუჭრიტა მან, რომ დადგებოდა დრო, როცა აღმოსავლეთის ხალხები, კერძოდ, ინდოელი ერი, დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ, „...აღდგებოდნენ, როგორც დამოუკიდებელი მონაწილენი, როგორც ახალი ცხოვრების შემოქმედნი“ და მონაწილეობას მიიღებდნენ „მთელი მსოფლიოს სვე-ბედის გადაწყვეტაში“. **(ტაში).**

ლენინი მოგვიწოდებდა გაგვწვდინა „მეგობრობისა და მშობის ხელი აღმოსავლეთის ყველა ხალხისათვის“ — და ჩვენ მუდამ ერთგულნი ვართ ლენინის ამ ანდერძისა! **(ტაში).**

უდიდეს კმაყოფილებას იწვევს, რომ ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი ინდოეთის მშენებლობისათვის ინდოელი ხალხის ბრძოლის ისეთ გამოჩენილ ხელმძღვანელთა აზრები, როგორიც იყვნენ მაჰატმა განდი და ჯავაჰარლალ ნერუ, და ამათი აზრები, ვინც დღეს მათ საქმეს განაგრძობს, დიდი ლენინის ამ იდეებს ესატყვისება. **(ტაში).**

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ გუშინ შეეუდექით მოლაპარაკებას თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობასთან, პრემიერ-მინისტრ ინდირა განდისთან. ჩვენ გავაცანით თანამოსაუბრეებს საბჭოთა ხალხის ინტენსიური, შემოქმედებითი შრომითი ცხოვრება, ჩვენი მიღწევები, გადასაწყვეტი ამოცანები და სამერმისო გეგმები, ჩვენი ბრძოლა ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის. **(ტაში).**

დიდი გულისყურით ვუსმენდით ინდოეთის ხელმძღვანელებს. ჩვენ გვახარებს თქვენი მიღწევები, ვიზიარებთ თქვენს შეშფოთებას იმ სიძნელეების გამო, რომლებიც ჯერ კიდევ დაგიძვიათ. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ქვეყნის გარდამქმნელი დიდი მუშაობა, რომელიც ჯავაჰარლალ ნერუს დროს დაიწყო, გრძელდება. და ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ წარმატებებს ახალი ინდოეთის მშენებლობაში. ვუსურვებთ ბედნიერებას და აყვავებას ინდოელ ხალხს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენმა საუბრებმა კვლავ დაადასტურა, რომ სსრ კავშირსა და ინდოეთს ერთნაირი მშვიდობისმოყვარული მისწრაფებები ამოძრავებს. ჩვენი საერთო განზრახვაა ყველაფერი ვიღონოთ, რათა არასოდეს არავითარი ზიანი არ მიადგეს ხალხთა გარჯით მონაპოვარს, რათა კაცობრიობა არასდროს არ მოესწროს მსოფლიო ბირთვული ხანძრის ტრაგედიას. **(ტაში).**

დაე, მტკიცდებოდეს და ყვავოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორი!

გაუმარჯოს დიდ ინდოელ ხალხს! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

● ●

შემდეგ გამოვიდა ინდირა განდი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ი. განდის გამოსვლა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

პატივცემულო საბჭოთა დელეგაციის წევრებო!

პატივცემულო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

წლად გვხვდა პატივი მივიღოთ დიადი ქვეყნის გამოჩენილი ლიდერი, მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე და ინდოეთის ერთგული მეგობარი. მივესალმები აგრეთვე სხვა საბჭოთა ოფიციალურ პირებს, რომლებიც მასთან ერთად ჩამოვიდნენ. წლად მხვდა ბედნიერება ვიცნობდე მათ მრავალი წლის მანძილზე. **(ტაში).**

ეს ვიზიტი მნიშვნელოვან და ღირსშესანიშნავ მოვლენად მიგვაჩნია. იგი ახალ იმპულსს მისცემს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ტრადიციულ მეგობრობას, წვლილს შეიტანს მშვიდობის საქმეში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ინდოელი ხალხი აღტაცებულია საბჭოთა ხალხის წარმატებებით და განსაკუთრებით შესანიშნავი ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესით, რომელსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია უკვდავი ლენინის ხელმძღვანელობით მომხდარი დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განვლილ წლებში.

„ყინულის საფარის ქვეშ აგიზგიზებული ალი“, — ასე ამიწერია ხატოვნად მამაჩემმა ჯავაჰარლალ ნერუმ ეს რევოლუცია, როცა ბავშვი ვიყავი. მაშინ ჩვენ საკუთარ ბრძოლას ვეწეოდით კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მუდამ მხარს გვიჭერდა საბჭოთა ხალხი. **(ტაში).**

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ინდოეთი ადგას მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომლის პოზიტიური შინაარსია ყველა ქვეყანასთან მეგობრობის ძიება და სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარება კეთილი ნებისა და მშვიდობის საფუძველზე. მეოთხედი საუკუნის წინათ მოსკოვის მიტინგზე გამოსულისას ჯავაჰარლალ ნერუმ გამოთქვა შემდეგი აზრი: მშვიდობა — ეს მარტოოდენ ომზე უარის თქმა კი არა, აქტიური და პოზიტიური ნაბიჯებია, თანასწორუფლებიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობის პრინციპებს.

სსრ კავშირისა და ინდოეთის კეთილი ურთიერთობა, თანამედროვეობის ძირითად პრობლემებზე მათი პოზიციების დამთხვევა ან სიახლოვე, ხალხთა დამოუკიდებლობის საქმისა, მშვიდობისა და სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საქმის ერთგულება, განიარაღებისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლისადმი ერთგულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვითარების ახლანდელი გამწვავების პირობებში.

საიდუმლო როდია, რომ ვითარების ეს გამწვავება გამოწვეულია ნატოს სამხედრო ბლოკის ამ ბოლოდროინდელი მოქმედებით. ეს იმ ცდების შედეგია, რომ დაარღვიონ მსოფლიოში შექმნილი ძალთა წონასწორობა და სამხედრო უპირატესობის პოზიციებიდან თავს მოახვიონ ხალხებს თავიანთი ნება.

ამისათვის უმაგალითოდ ბერავენ სამხედრო ბიუჯეტებს, ზრდიან შეიარაღებას, აფართოებენ წინანდელ სამხედრო ბაზებსა და ქმნიან ახალ ბაზებს მთელ მსოფლიოში.

ცხადია, რომ ასეთ საფუძველზე შეუძლებელია კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგება, დაწიაურება შეიარაღების შეზღუდვის, კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციის, მსოფლიო ეკონომიკური წყობის სამართლიან საფუძველზე გარდაქმნის პრობლემათა გადაწყვეტის გზაზე.

გროვდება სიძნელენი სახელმწიფოთა ორმხრივ ურთიერთობაში. კერძოდ, უკანასკნელი წლების მანძილზე ასეთი სიძნელენი საკმაოდ დაგროვდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში. ჩვენ ამ სიძნელეთა აღმოფხვრის მომხრენი ვართ. მაგრამ, ვფიქრობთ, სწორად ამბობს ინდური ანდაზა: ცალი ხელით ტაშს ვერ დაუკრავო.

პატივცემულო პარლამენტის წევრებო!

როცა აზიის უდიდესი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე გამოვდივარ, არ შეიძლია არ გაგიზიაროთ მოსაზრებანი ამ კონტინენტზე საქმის ვითარების გამო. მისი როლი მსოფლიო მოვლენებში ცხადია: აქ ხომ კაცობრიობის ნახევარი ცხოვრობს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აზიაში მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს აზიის რაც შეიძლება მეტი ქვეყნის, უმჯობესია —ყველა ქვეყნის საერთო წვლილს.

მაგრამ დღეს ვითარება აზიაში, სამწუხაროდ, შემაშფოთებელია.

კვლავ აფეთქებასაშიში მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში, სადაც ცდილობენ არაბულ ქვეყნებს თავს მოახვიონ კაპიტულანტური გარიგებანი, და აიძულონ ისინი შეურიგდნენ თავიანთი ძირეული ეროვნული ინტერესების ფეხქვეშ გათელვას.

არ ნელდება დაძაბულობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც იმპერიალიზმის ძალები და მათი დამქაშები ადგანან მეზობელ სახელმწიფოთა წაკიდების გეზს, ყოველსაირად აბრკოლებენ მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

გრძელდება უაზრო და ტრაგიკული კონფლიქტი ერაყსა და ირანს შორის. ეს იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ საშიშია ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ქვეყნებისათვის იმპერიალისტური პოლიტიკის დოლაბში ჩავარდნა.

ვის აძლევს ხელს ეს ომი? რა თქმა უნდა, არა ერაყსა და არა ირანს, მათ წილად ხვდებათ მხოლოდ დანგრეული ეკონომიკა და ადამიანთა დიდი მსხვერპლი, მაგრამ ზოგ-ზოგებმა ომზე ხელი მოიბეს. ეს უკვე ჩანს. მთელი მსოფლიოს თვალწინ ძლიერდება უცხოეთის სამხედრო შეღწევა ახლო და შუა აღმოსავლეთში. არაბი ხალხების მტრის გასახარად ირყევა არაბული სამყაროს ერთიანობა. აწყობენ აგრეთვე გეგმებს, რათა შეასუსტონ როგორც ირანის, ისე ერაყის პოლიტიკის ანტიიმპერიალისტური მიმართულება. და ყოველივე ამისათვის ორი მეზობელი ხალხი თავის სისხლს ღვრის.

სწორედ ამიტომაც სსრ კავშირი მტკიცედ მოითხოვს ამ კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. ჩვენ ვგმობთ ყოველ ცდას ხელი შეუწყონ მის გაჭიანურებას, რადაც უნდა დაუჯდეთ გაიღვივონ ომის ცეცხლი. როგორც ჩვენ გვესმის, ინდოეთის პოზიცია ჩვენსას ჰგავს.

საერთაშორისო კლიმატის ნორმალიზაციის მოწინააღმდეგენი და გამალებული შეიარაღების ინიციატორები ხშირად იმიზეზებენ ახლა თავიანთი მოქმედების გასამართლებლად ავღანეთის ამბებს, მაგრამ ამ დროს, თუ ჩავუფიქრდებით, ისინი ერთობ თავისებურ პოზიციას იკავებენ.

ისინი მთელ მსოფლიოში გაჩაკვიან „საბჭოთა კავშირი საფრთხეს უქმნისო“ ხან პაკისტანს, ხან სპარსეთის ყურის ქვეყნებს, ზოგჯერ კი, ღმერთმა უწყოს, ვის, თუმცა კარგად იციან, რომ ასეთი საფრთხის ნატამალიც კი არ არის.

ისინი ხმამაღლა • მოითხოვენ, რომ საბჭოთა კავშირმა შეუწყვიტოს სამხედრო დახმარება ავღანეთს; სინამდვილეში კი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ამის ხელი შეუშალონ. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ დაძაბულობა და არ დაუშვან ვითარების ნორმალიზაცია. ისინი განაგრძობენ ავღანეთში შეიარაღებული ბანდების შეგზავნას, და ცეცხლვით ეშინიათ, ვაითუ ავღანეთი მოურიგდესო მეზობლებს, განსაკუთრებით პაკისტანს.

ერთი სიტყვაით, ამ ვაებატონების პოზიცია, მეტი რომ არა ვთქვათ, გულწრფელობით არ გამოირჩევა.

მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. ავღანეთში ცხოვრება თანდათან დგება და კიდევ უფრო მეტად ჩადგება ნორმალურ, მშვიდობიან კალაპოტში, დეზინფორმაციის ბურუსი თანდათან გაიფანტება. და მაშინ, ალბათ, ავღანეთის სამხრეთელი მეზობლებისათვის ცხადი გახდება, რომ ერთადერთი რეალური გზა ავღანეთის მთავრობასთან კეთილმეზობლური მორიგებაა. ამის შედეგად წარმოიშობა მდგომარეობის მთლიანი პოლიტიკური ნორმალიზაციის წინამძღვრები, კერძოდ, ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის წინამძღვრები.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, პატივცემულო პარლამენტის წევრებო: საბჭოთა კავშირი მოვლენათა სწორად ასეთი განვითარების მომხრეა, და ჩვენ მთლიანად ზუბერი მხარს ავღანეთის მთავრობის გონივრულ წინადადებებს ამის შესახებ.

საერთაშორისო დაძაბულობის სულ უფრო საშიში კერა ხდება სპარსეთის ყურისა და ინდოეთის ოკეანის რაიონი. ამ რაიონიდან ათასობით კილომეტრზე მდებარე სახელმწიფოებმა თავიანთი „საარსებო ინტერესებს“ დაკვეს ყურით მოთრეული საბაბით აქ თავი მოუყარეს სამხედრო არმადას და გაძლიერებით ზრდიან შეიარაღებას, აფართოებენ თავიანთი სამხედრო ბაზების ქსელს, ზეგავლენას ახდენენ და ეშულრებიან პატარა ქვეყნებს, რომლებიც მათ ნებას არ აყვებიან.

ისინი ცდილობენ ასეთი მოქმედება გაამართლონ ლაპარაკით, თითქოს საბჭოთა კავშირი საფრთხეს უქმნიდეს ამ რაიონის ნავთობის სიმდიდრეებს. რა თქმა უნდა, ეს მტკნარი სიცრუეა, და მისმა ავტორებმა კარგად იციან ეს. სსრ კავშირი არ აპირებს ხელყოს არც ახლო აღმოსავლეთის ნავთობი, არც მისი ტრანსპორტირების გზა.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის სულერთი არ არის რა ხდება ჩვენს საზღვრებთან ესოდენ ახლომდებარე რაიონში. გვინდა აქ შეიქმნას ნორმალური, მშვიდი ვითარება. სპარსეთის ყურის ქვეყნების მიმართ აგრესიისა და დიქტატის იმპერიალისტურ დოქტრინას ვუპირისპირებთ მშვიდობისა და უმშროების დოქტრინას.

ეს მარტოოდენ სიტყვები როდია. ეს ჩვენი რეალური პოლიტიკაა. ჩვენ ვთვავობთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს, ჩინეთს, იაპონიას, ყველა სახელმწიფოს, ვინც ამისადმი ინტერესს გამოიჩენს, შევთანხმდეთ შემდეგ ურთიერთვალდებულებებზე.

— არ შევქმნათ უცხოეთის სამხედრო ბაზები სპარსეთის ყურის რაიონში და მიმდებარე კუნძულებზე; არ განვალაგოთ იქ ბირთვული ან მასობრივი მოსპობის რომელიმე სხვა იარაღი;

— არ გამოვიყენოთ ძალა და არ დავემუქროთ ძალის გამოყენებით სპარსეთის ყურის რაიონის ქვეყნებს, არ ჩავერიოთ მათ საშინაო საქმეებში;

— პატივი ვცეთ სპარსეთის ყურის რაიონის სახელმწიფოების მიერ არჩეულ მიუმხრობლობის სტატუსს; არ ჩავაბათ ისინი სამხედრო დაჯგუფებებში ბირთვული სახელმწიფოების მონაწილეობით;

პატივი ვცეთ ამ რაიონის სახელმწიფოთა საკუთარი ბუნებრივი რესურსების სუვერენულ უფლებას;

— არ შევუქმნათ რაიმე დაბრკოლება ან საფრთხე ნორმალურ სავაჭრო გაცვლასა და იმ საზღვაო კომუნიკაციების გამოყენებას, რომლებითაც ამ რაიონების სახელმწიფოები უკავშირდებიან მსოფლიოს სხვა ქვეყნებს.

ვფიქრობთ, რომ ამგვარი მოლაპარაკება, რომლის სრულუფლებიანი მონაწილენი, ბუნებრივია, იქნებიან თვით ამ რაიონის სახელმწიფოები, შეესაბამება მათ საარსებო ინტერესებს. ეს ხომ მათი სუვერენული უფლებებისა და უშიშროების ‘ურუნველყოფის საიმედო საწინდარი იქნებოდა.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ ამ წინადადებას გაგებით მოეკიდება და მხარს დაუჭერს მშვიდობისმოყვარე ინდოეთი.

საბჭოთა კავშირი მშვიდობის ზონად ინდოეთის ოკეანის გადაქცევის იდეის მტკიცე მომხრეა. **(ტაში).** ჩვენ მზად ვართ აქტიურად ვიმუშაოთ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად ამ მიმართულებით. ჩვენი აზრით ინდოეთის ოკეანე იყო და არის მის ნაპირებზე მდებარე, და არა რომელიმე სხვა სახელმწიფოების საარსებო ინტერესების სფერო. **(ტაში).**

ჩვენ მზად ვართ მივესალმოთ ყოველ სხვა ინიციატივასაც, რომელიც მიზნად დაისახავენ დაძაბულობის შენელებას და ნაკრნახევი იქნება აზიაში ან სხვა კონტინენტზე მშვიდობის განმტკიცებისათვის ზრუნვით. **(ტაში).**

ძვირფასო მეგობრებო!

საბჭოთა კავშირი დიდი პატივისცემით ეკიდება ინდოეთის საგარეო პოლიტიკას **(ხანგრძლივი ტაში),** რომელიც ემყარება მშვიდობიანი თანაარსებობისა და მიუმხრობლობის პრინციპებს. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენი ქვეყნის წვლილს მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, ყველა ფორმის ჩაგვრისა და არათანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლაში. **(ტაში).**

თავისი დამოუკიდებელი არსებობის პირველი დღეებიდანვე ინდოეთი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო ასპარეზზე. რა შესძინა უძველესი და თვისთავადი კულტურის მქონე ამ უდიდესმა ქვეყანამ საერთაშორისო ურთიერთობას? მე ასე ვიტყოდი: უწინარეს ყოვლისა მშვიდობისმოყვარეობისა და აწონილ-დაწონილი რეალიზმის ნაკადი, მზადყოფნა განავითაროს კარგი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან და ხელი შეუწყოს საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას.

ისტორია არ დაივიწყებს, რომ ასეთი პოლიტიკის ფუძემდებელი იყო ინდოელი ხალხის გამოჩენილი შვილი ჯავაჰარლალ ნერუ **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ, საბჭოთა კავშირში კარგად გვახსოვს რაოდენ ბევრი რამ გააკეთა ამ მართლაცდა, დიდმა ადამიანმა, ჩვენი ქვეყნის გულწრფელმა მეგობარმა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განვითარებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდოეთის წვლილი აზიის მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაში. ხალხები ჯეროვანს ითვლიან ინდოეთის ადგილს ერთგულებაზე არ მოახდენენ ზემოქმედებას ან არ დაემუქრებიან კონფლიქტებისა და ჩარევის გულისთვის. ჩვენ მეგობრობის ხელს ვუწვდით ყველა ქვეყანას, ინდოეთ-საბჭოთა კავშირ-ინდოეთ-საბჭოთა კავშირ-ინდოეთ-საბჭოთა კავშირ-

XXVI სკკა ყრილობის უსასყიდლად

აღმშენებლობის პროგრამა

გამოხმაურება • წინადადება • მოსაზრება

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ „ᲐᲮᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1981-1985 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ 1990 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲫᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ 1,5-ᲯᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲝᲡ.“

ᲖᲠᲓᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲘᲛᲘᲐ — ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲛᲔᲝᲗᲔ ხუთწლედის განვლილ პერიოდში დიდი ქიმიის განვითარების საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის შეუნელებელი ყურადღების ცენტრში იყო. ქიმიური მრეწველობის აღმავლობისათვის დიდძალი კაპიტალური დაბანდება გამოიყო და ამ სახსრების სოლიდური ნაწილი რუსთავის ქიმიური ქარხნის რეკონსტრუქციას მოხმარდა.

მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოო კომპლექსი, რომელმაც ამიაკი მოგვცა. ამიაკი კი, „ყველაფრის შემძლეა“: მისგან, მინერალური სასუქების გარდა, კაპროლაქტამს, კარბამიდს, შხამქიმიკატებსა და ვინ მოთვლის კიდევ რა და რა ქიმიურ პროდუქტს არ ამზადებენ. დარგის საწარმოო-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებანი უკვე მომავალ წელს მოგვცემს გარკვეულ ეფექტს. საგაისოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობა 20,5 პროცენტით გაიზრდება. განსაკუთრებით სწრაფი ტემპია დასახული სინთეზური ამიაკის, კაპროლაქტამის, ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების წარმოებაში.

დარგის საწარმოო-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას 1981 წელს 44,5 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება მოხმარდება, რომლის 38,2 პროცენტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის არის გათვალისწინებული...

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტი ქიმიური მრეწველობის ზრდას ჩვენს რესპუბლიკაში 1,5-ჯერ ითვალისწინებს. ამ რთულ, მაგრამ მეტად საპატიო ამოცანას დარგის მუშაკები აუცილებლად გადაწყვეტენ.

